საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №1/205 "18" სექტემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა წერილობით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოს, ხაშურისა და გორის რაიონული სასამართლოების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე.

როგორც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წერილშია აღნიშნული, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის პალატის საპროცესო დარბაზში არსებული ცუდი სმენადობის გამო, ხარვეზებით მიმდინარეობს როგორც პროცესები, ასევე პროცესების ჩაწერა, რის გამოც არსებულ დარბაზში აუცილებელია აკუსტიკური ფილების დამონტაჟება. საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოში რეაბილიტაციას საჭიროებს შენობის ღობე, საბადრაგო, სართულების ფოიეები, სველი წერტილები, სასამართლოს შესასვლელი პორტალი, ეზო და მაგისტრატი მოსამართლის ოთახი. ხაშურის რაიონულ სასამართლოში განსაახლებელია საბადრაგოს სველი წერტილი, საკნები და მისი მიმდებარე შესასვლელი. გორის რაიონული სასამართლოს პირველ სართულზე მდებარე კანცელარიის ფანჯრებზე მოსაწყობია გისოსები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან დადგენილი წესით ერთობლივი ტენდერის გამოცხადება პირველ ეტაპზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული სასამართლოების სარემონტო სამუშაოები.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი